



**Georgian National
Film Center**

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№4, 2013





კონკურსები

2013 წლის IV კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

2013 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 800 000 ლარი), შემოვიდა 7 პროექტი, დაფინანსდა 2 პროექტი.

- **დღე როგორც ერთი თვე** (პროდიუსერი - შპს ლაკუმი, რეჟისორი - რეზო ესაძე, სცენარის ავტორი - ამირან დოლიძე).
- **გაყინული შადრევნების წელიწადი** (პროდიუსერი - ფ/პირი ივანე ბურდული, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ივანე ბურდული).

2013 წლის 15 ოქტომბერს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 450 000 ლარი), შემოვიდა 10 პროექტი, დაფინანსდა 2 პროექტი.

- **დედე** (პროდიუსერი - შპს 20 steps productions, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- **გაპიკოება** (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).

2013 წლის 10 დეკემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ერთობლივი წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 550 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 3.02.2014 წელი.

2013 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის სცენარის განვითარების კონკურსი, პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 10.01.2014 წელი.

კონკურსი ითვალისწინებს საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების სკოლამდელი ასაკის (3–6წ.) ბავშვებისათვის სცენარების შექმნას.

2013 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი პროგრამისთვის „კინო სკოლაში“ სპეციალისტების ასაყვანად, პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 15.01.2014 წელი.



ეროვნული კინოცენტრი (GNFC) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად ერთობლივი კონკურსი გამოაცხადა. თემა - ძალადობა ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობა. კონკურსის დედლაინი - 2014 წლის 31 იანვარი.

ეროვნულ კინოცენტრსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის, თანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა.

კონკურსის გამოცხადებამდე, დაინტერესებულ კინოდოკუმენტალისტებს (რეჟისორი, პროდიუსერი) საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიეღოთ UN Women-ის მიერ გამართულ ღონისძიებებში, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა. 16 დღიანი კამპანია თბილისში, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით გაიმართა.

მიმდინარე კინოპროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტეკი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიის კინოსერვისი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მთელი სიცოცხლე და ერთი დღე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს “Digital Kitchen Studio”, დირექტორი – გიორგი თავართქილაძე, რეჟისორი - დავით გუჯაბიძე).
- გადაღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარის დევნა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ზურაბ დემეტრეშვილი).
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფოლკლორი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გამს ფიქერს“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე).



- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გარეუბანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- მონტაჟის პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - ბენ ჰოპკინსი).
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბასტრა ფილს“, რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე).
- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია რეალითი“, რეჟისორი - უტა ბერია).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse FILM“, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათური, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტი „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კორო ფიქერს“, რეჟისორი - დიტო ცინცაძე).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე ვარ ბესო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს პანსიონატი, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე).



- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „New Wave“, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოგასავარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკო ფილმი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს სოლოსოლო, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რელიგია, ძალაუფლება, სახელმწიფო, საქართველო 1989 – 2013წ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - სოსო დუმბაძე).
- სამონტაჟო პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა (პროდიუსერი - შპს ჭიაურელი ბრაზერს არტ სტუდიო, რეჟისორი - ანდრო ჭიაურელი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Cinemark“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პატარძლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შემთხვევითი პაემნები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „წერილი შვილს“ (განმცხადებელი - შპს „პალესტრა“, სცენარის ავტორები - თემურ ცავა, კოტე ჯანდიერი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ტერცო მონდო“ (განმცხადებელი - შპს „ახალი ქართული ფილმი“, სცენარის ავტორი - მერაბ კოკოჩაშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „გადარჩენის მთა“ (განმცხადებელი - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, სცენარის ავტორი - დათო ჯანელიძე).





- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „აგარაკი“ (განმცხადებელი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - ელდარ შენგელია).
- განვითარების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ვენეცია“ (განმცხადებელი - შპს „ნიკე სტუდია“, სცენარის ავტორი - რუსუდან ჭყონია).
- განვითარების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „სხვა გზა“ (განმცხადებელი-ფ/პირი „გურამ მეგრელიშვილი“, სცენარის ავტორი -ეკატერინე ტოგონიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „სარეცხის დირიჟორი“ (პროდიუსერი -შპს ჯი-ეფ-ემ სტუდო, რეჟისორი -- ქთევან ნაცვლიშვილი) .
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ფრანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი გიორგი ვასაძე, რეჟისორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „დათუნია დრუნჩა“ (პროდიუსერი - ფ/პირი გიორგი მარშანია, რეჟისორი - გიორგი მარშანია).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ჯიბის კაცი“ (პროდიუსერი და რეჟისორი -ფ/პირი მარიამ მიდელაური) .
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ლი-ლე“ (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ნათია ნიკოლაშვილი).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ჯინო“ (პროდიუსერი - შსგ ლირა პროდაქშენი, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).

ფესტივალი



თბილისის მე-14 საერთაშორისო კინოფესტივალი 2-8 დეკემბერი, 2013

თბილისის ფესტივალი ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა.

ფესტივალის ოფიციალური ნაწილი 7 დეკემბერს დაიხურა. სადამოს დახურვის ცერემონიალის დაწყებამდე თბილისი მერიოტში ჟიურის სპეციალური კონფერენცია გაიმართა, სადაც კინოფესტივალის დირექტორთან, ნინო ანჯაფარიძესთან ერთად საერთაშორისო ჟიურის წევრებმა, მატეუშ ვერნერმა, სამირა მახმალბაფმა, მაიკლ ჰოფმანმა და ჯოვანი სპანიოლეტიმ, საკონკურსო ფილმები განიხილეს და ფესტივალი შეაჯამეს. მაიკლ ჰოფმანის თქმით, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საკონკურსო ფილმების არჩევანი და მათი კონცეპტუალური ერთიანობა. ჰოფმანმა დასძინა, რომ საკონკურსო ფილმები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადამიანის თვითიდენტიფიკაციის პროცესს თანამედროვე სამყაროში და მაყურებელს აქტუალურ თემებზე სასაუბროდ იწვევს, რაც ნებისმიერი საერთაშორისო ფესტივალის მთავარი მიზანია.

დახურვის ცერემონიაზე მთავარი გამარჯვებულების გარდა, Caucadoc-ის გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. ეროვნული კინოცენტრის მიერ დაწესებული ფულადი პრიზით

ორი პროექტი დაჯილდოვდა: ნინო გოგუასა და ნათია გულიაშვილის „ნივთები“ და სალომე მაჩაიძის, დავით მესხის და თამუნა ქარუმიძის „როდესაც დედამიწა მსუბუქია“ - ზაზა რუსაძის



პროდიუსინგით. პრადში, ფესტივალ One World-ის ინდუსტრიულ ნაწილში მონაწილეობას Caucadoc-ის ფარგლებში განვითარებული 2 დოკუმენტური ფილმის პროექტი მიიღებს: ნიკა შეკის, სარის ჰოვსეპიანისა და ელდარ ალბერტსონის სომხურ აზერბაიჯანული კოპროდუქცია „გრძელი ბალები“ და ორხან აგაზადეს მაიკლ მეისონის და ლალა მაჰმუდოვას „იკარუსი“.

რაც შეეხება თავად ფესტივალის გამარჯვებულებს, არსებული ნომინაციების გარდა ჟიურიმ ვერ შეძლო არ აღენიშნა საკონკურსო ფილმებში მსახიობების ბრწყინვალე შესრულება. შემდეგ სცენაზე არჩილ ქავთარაძეს უხმეს და საუკეთესო ფილმისათვის „კომა“ ოქროს პრომეთე გადასცეს - ჟიურიმ ეს ფილმი გულახდილობის, ემოციურობისა და აქტუალური პრობლემის დრამატული წარდგენისათვის დააჯილდოვა. ვერცხლის პრომეთე საუკეთესო რეჟისურისათვის კი თურქ რეჟისორს, ერდემ ტეპეგოზს გადაეცა, რომელიც ამ დროისთვის უკვე საქართველოში აღარ იმყოფებოდა, მის მაგივრად ჯილდო თურქული კულტურის ცენტრის წარმომადგენლებს გადაეცა. ფარაჯანოვის სპეციალური პრიზი ფილმის განსაკუთრებული ესთეტიკისა და ვიზუალისათვის კი მექსიკელმა ორლანდო ტირადოს გადაეცა, რომელიც ანდრეა პალაოროს „მედეასის“ სცენარისტია. ულრიხ და ერიკა გრეგორებმა ჯოვანი სპანიოლეტისთან ერთად ქართული პანორამის საუკეთესო ფილმები გამოავლინეს.

პირველი პრიზი - გამგზავრება კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც ფრანგულმა ინსტიტუტმა და თიბისი ბანკმა დააწესა, გადაეცა ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“, ხოლო მეორე პრიზი, შვედეთის საელჩოსა და შვედური ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული მგზავრობა გიოტებორგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, გადაეცა ზაზა ურუშაძის „მანდარინებს“. ულრიხ გრეგორმა გამარჯვებულებს გარდა სამი ფილმი დაასახელა, ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურეს ფილმებმა: „F5“-ალექსანდრე ქორიძის ფილმი, თომა ბეგიაშვილისა და გიორგი ჩალაურის „პროექტი ნათელი“, და ირაკლი ჩხიკვაძის „ტყვიების ბაღი“.

ფესტივალის მაიკლ ჰოფმანის ფილმმა „უკანასკნელი სადგური“ დახურა.



CINÉDOC–TBILISI 15-20 ოქტომბერი, 2013

კავკასიაში პირველი ფართომასშტაბიანი დოკუმენტური კინოფესტივალი გაიმართა, რომლის მიზანია საფესტივალო გარემო ფართო საზოგადოების თავშეყრის ადგილად აქციოს. CinéDOC–Tbilisi-მ ქართველ კინომოყვარულებს შესთავაზა მაღალმხატვრული დოკუმენტური ფილმები მთელი მსოფლიოდან: ჩილე, ესპანეთი, იამაიკა, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, მაროკო, ლიტვა.

კინოსეანების პარალელურად, ფესტივალის პროგრამა მოიცავდა მასტერკლასებს, უორქშოფის სესიებს (Docstories Georgia), კონფერენციებსა და საბავშვო სექციას - CinéDOC Young.

პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის ფარგლებში სულ ფულადი ჯილდოთი ოთხი კინოპროექტი დაჯილდოვდა.

საერთაშორისო საკონკურსო პროგრამის გამარჯვებულია - 'სათამაშოები' (რეჟ. ლინა ლიუზიტე). ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა ერგო პოლონურ ფილმს - 'ჰნომ პენის ძილისპირული' (რეჟ. პაველ კლოცი). არანაკლებ მნიშვნელოვან სექცია - Focus Caucasus-ი წარმოდგენილი ფილმებიდან, გამარჯვებულად გამოვლინდა 'ინგლისურის მასწავლებელი' (რეჟ. ნინო ორჯონიკიძე და ვანო არსენიშვილი) და საბოლოოდ, პუბლიკის პრიზი მოიპოვა ესპანურ-იამაიკურმა პროექტმა - 'სინანულის სიმღერები' (რეჟ. ამანდა სანსი). საპრიზო თანხა შეადგენდა 3000, 1500, 2000 და 1500 ლარს შესაბამისად. სევე, ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა ერგოთ ორ ქართულ კინოს - 'იყო და არა იყო რა' (რეჟ. ალექსანდრე ბაევი) და 'მერე ამბობენ გიჟიანო' (რეჟ. ამირან დოლიძე).

მასტერკლასები და კონფერენციები ჩაატარეს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალისა და ისეთი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, როგორებიც არის: ARTE FRANCE, EDN(European Documentary Network)...

ფესტივალის ორგანიზატორია NOOSFERA FOUNDATION, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განახორციელა 4 საერთაშორისო და ადგილობრივი კინოპროექტი. ფესტივალის ფინანსური მხარდამჭერია ეროვნული კინოცენტრი.

ორგანიზაცია NOOSFERA FOUNDATION დაარსდა 2011 წელს. ორგანიზაციის მიზანია, შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმის პოპულარიზაცია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ფესტივალი ხორციელდება ასევე Movies That Matter / Amnesty International, IDFA Berta Fund (International Documentary Film Festival – Amsterdam), Black Sea Trust for Regional Cooperation, Goethe Institut – Tbilisi, Institut Francais, ფონდი - 'ღია საზოგადოება საქართველო', თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.



ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“ 2-5 ოქტომბერი, 2013

ბათუმში, ქობულეთსა და ხულოში ანიმაციური ფილმების მე-5 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ გაიმართა. ორგანიზატორები - „ანიმაციის განვითარების ფონდი“ და კულტურული ცენტრი „პერსონაჟი“. ფესტივალის მხარდამჭერია ეროვნული კინოცენტრი.

საკონკურსო და საინფორმაციო პროგრამებში ნაჩვენები იყო 43 ქვეყნის 115 ფილმი.

ფილმების ჩვენება გაიმართა: ბათუმში - კინოთეატრ „აპოლოში“ და ხელოვნების უნივერსიტეტში; ხულოს დრამატულ თეატრში და ქობულეთის მუნიციპალურ კინოთეატრში.

ფესტივალის ნომინაციები: გრანპრი, საუკეთესო ფილმი უფროსებისათვის, საუკეთესო საბავშვო ფილმი, ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი, საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი, საუკეთესო სერიალი, საუკეთესო დებიუტი, საუკეთესო სტუდენტური ფილმი.

ანიმაციური ფესტივალის „თოფუზის“ ფარგლებში პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საუკეთესო საბავშვო ფილმის კატეგორიაში გრანპრი მიიღო რუსულმა ანიმაციამ - ‘ყირნის საჩუქარი’ (რეჟ. სტეპან ბირიუკოვი). უფროსებისათვის განკუთვნილი ანიმაციებიდან გამარჯვებული გახდა მარინა როსეს შვეიცარული ანიმაცია - გოგონა ფოთლებში. საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმის წოდება მიიღო მაია ოშმანისა და თომას შტელმახის კინოპროექტმა - ‘ვირტუოზული ვირტუალი’ (გერმანია). საუკეთესო დებიუტურ ნამუშევრად გამოვლინდა ფრაგული კინოპროექტი ‘კიკი მონპარნასიდან’ (რეჟ. ამელ არო). ასევე დაჯილდოვდნენ შემდეგი ფილმები:

საუკეთესო სატელევიზიო სერიალი: ‘მიმი და ლიზა’ (რეჟ. კატარინა კერეკესოვა; სლოვაკია)
საუკეთესო სტუდენტური ფილმი: ‘სისწრაფე’ (რეჟ. კაროლინა გლუსიეკი; დიდი ბრიტანეთი)
ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი: ‘გული’ (რეჟ. პეტრე თომრძე, საქართველო)
საუკეთესო რეჟისორის / საუკეთესო სცენარისტი: ‘ტვირთის კულტი’ (რეჟ. ბასტიენ დუბუა; საფრანგეთი)

საუკეთესო მუსიკა: ‘მანიაშა - მოსიარულე ბლუზი’ (რეჟ. პერეზ ლუკი; დანია)

საუკეთესო ტექნიკა: ‘ლაბირინთი’ (რეჟ. ლაბაიე მეთიუ, ბელგია)

ფესტივალის გამარჯვებულები გამოავლინა საერთაშორისო ჟიურიმ.

ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა უორქშოფი „ანიმაცია ურთიერთობის მხატვრული ფორმა“. ასევე, მასტერკლასები „შეხვედრა ავტორებთან“.

„ფრანგულმა ინსტიტუტმა“ და „თბილისის იუნეს ემრეს თურქული კულტურის ცენტრმა“, ფესტივალის ფარგლებში წარმოადგინეს ანიმაციური ფილმების პროგრამები ღია ცის ქვეშ.

ქართული კინოს წარმატება



მანდარინების პრემიერა

15 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანში“ ზაზა ურუშაძის ფილმის „მანდარინების“ პრემიერა გაიმართა. ფილმი ქართულ-ესტონური ერთობლივი წარმოებაა. კინოთეატრებში ფილმი 2 თვის განმავლობაში ანშლაგით მიდიოდა და დასწრების ყველაწიერი რეკორდი მოხსნა.

მტრები ერთ სახლში

სიუჟეტი აფხაზეთის ომის ფონზე ვითარდება, თუმცა ფილმში ომის სცენები არ არის ასახული. ფილმი მოგვითხრობს აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელზე, რომელიც ომის დროს თავისი სურვილით დარჩა აფხაზეთში. დრამაში აღწერილია ესტონელი გმირის სახლში მოხვედრილი დაჭრილი ქართველი და ჩეჩენი ჯარისკაცის ურთიერთობა.

ფილმში მონაწილეობენ: გიორგი ნაკაშიძე, მიხეილ მესხი, ლემბიტ ულფსაკი (ესტონეთში საუკუნის მსახიობად აღიარებული) ელმო იუგანენი, რატიო ტრასსი.

ფილმის კომპოზიტორია ნიაზ დიასამიძე და მასში ასევე გამოყენებულია ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა „მე გადმოვცურავ ზღვას“.

ქართულ-ესტონურმა კოპროდუქციამ უკვე მოიარა არაერთი ფესტივალი და არაერთი პრიზი მოიპოვა. მათ შორის ვარშავის ფესტივალზე ორი ჯილდო და სამი პრიზი მანჰეიმ-ჰეიდელბერგის ფესტივალზე. ფილმმა დიდი აღიარება საერთაშორისო მასშტაბით კინოწარმოებში. იმტვან საბომ „მანდარინებს“ წლის საუკეთესო ფილმი უწოდა.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია, სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 472000 ლარი. ზაზა ურუშაძის ნამუშევარმა ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის „ევრიმაჟისგან“ 110000 ევროს ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა.

თბილისური პრემიერის შემდეგ „მანდარინების“ გრანდიოზული პრემიერა გაიმართა ესტონეთში, ტალინში. ჩვენება გაიმართა ვილნიუსშიც, სამიტის წინა დღეს.



ფილმი ასევე ნაჩვენები იქნა ქართული ჯარისთვის. ალგეთის საველე ბაზაზე კინოჩვენებას II ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები დაესწრნენ. ისინი ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან და ამჟამად ალგეთში წვრთნას გადიან.

კინოჩვენებას სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩაჩიბაია, კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებიც დაესწრნენ.



„შავი თუთა“ წარმატება

გაბრიელ რაზმადის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შავი თუთა“ სანდენსის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა. ფილმი ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა და ნაჩვენები იყო ორმოცამდე ფესტივალის საკონკურსო სექციაში, მათ შორის: უფსალა, კორკი, პალმ სფრინგი. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

პროდიუსერი: თინათინ ყაჯრიშვილი, კოპროდუსერი და მსოფლიო გაყიდვების აგენტი: სებასტიენ ობერი, სცენარი: გაბრიელ რაზმადე, თინათინ ყაჯრიშვილი, ოპერატორი: გოგა დევედარიანი, მხატვარი: კოტე ჯაფარიძე, ხმა: ნიკა ფანიაშვილი, ხმის რეჟისორი: გვაჯი

კომპოზიტორი: რიმ ლოურენსი, როლებში: მაქსიმე მაჩაიძე, ნატა ბერაძე, ზურა ბეგალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი.

ქართული კინოს დღეები ვილნიუსში

2013 წლის 11-22 დეკემბერს საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა, საქართველოს საელჩოსთან ერთად ლიტვის რესპუბლიკაში ქართული კინოს დღეები გამართა. კინოს დღეები ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, სადაც 10 დღის განმავლობაში ლიტველ მაყურებელს საშუალება ჰქონდა თანამედროვე ქართული ფილმები ენახა. პროგრამა საერთაშორისო აღიარების მქონე როგორც სრულმეტრაჟიანი მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმებისგან შედგებოდა:

1. „მანდარინები“- ზაზა ურუშაძე;
2. „გრძელი,ნათელიდღეები“- ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი;
3. „გაღმანაპირი“- გიორგი ოვაშვილი;
4. „გაილიმეთ“- რუსუდან ჭყონია;
5. „ნეტავი იქ თეატრი არის?!“- ნანა ჯანელიძე;
6. „მარილივით თეთრი“- ქეთი მაჭავარიანი;
7. „ბახმარო“- სალომე ჯაში;
8. „ინგლისურის მასწავლებელი“- ვანო არსენიშვილი, ნინო ორჯონიკიძე.

კინოს დღეებს ლიტვაში დაესწრო ეროვნული კინოცენტრის დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი დავით ვაშაძე და კინორეჟისორი ქეთევან მაჭავარიანი.



ახალი ქართული კინოს 86-9 ფესტივალის კიევი

23 ნოემბერს, კიევში კინოთეატრ „ჟოვტენი“ („Жовтень“) ახალი ქართული კინოს ფესტივალის გაიხსნა. ფესტივალის ორგანიზატორი - უკრაინული საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“, მხარდამჭერები - ორივე ქვეყნის კულტურის სამინისტროები და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი.

უკრაინელ მაყურებელს საშუალება ჰქონდა ქართველი რეჟისორების ნამუშევრებს გაცნობოდა, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. სულ ნაჩვენები იყო 9 სხვადასხვა ჟანრის ფილმი, მათ შორის დოკუმენტური, კომედია, მელოდრამა და სხვა.

ფესტივალის ბოლო დროის გახმაურებული ფილმით „მანდარინებით“ გაიხსნა, რომლის რეჟისორიც ზაზა ურუშაძეა.

ქართული კინოს ფესტივალის პროგრამაში იყო: ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?!“, ქეთი მაჭავარიანის „მარილივით თეთრი“, ზაზა ურუშაძის „ბოლო გასეირნება“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“, რუსუდან პირველის „სუსა“, ლევან კოლუაშვილის „ქუჩის დღეები“.

ასევე წარმოდგენილი იყო ქართული კინოკლასიკა: „ქეთო და კოტე“ და „ფიროსმანი“.

ქართული კინოს დღეებს კიევში დაესწრო ეროვნული კინოცენტრის დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - დავით ვაშაძე.



ლაგენდარული ფრანგი მსახიობი – ფანი არდანი თბილისში

24 ოქტომბერს თბილისს ფრანგი მსახიობი - ფანი არდანი ეწვია. ვიზიტის მიზანი ფილმის “აკვიატებული რიტმების” (Obsessive Rhythms) პრემიერა იყო, რომლის რეჟისორიც ფანი არდანი თავად არის.

მსახიობი და რეჟისორი საქართველოში ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოვიდა. მსახიობს უმასპინძლეს ასევე ფრანგულმა ინსტიტუტმა და კულტურის სამინისტრომ.

ფანი არდანი მარჯანიშვილის თეატრში ქართველ მსახიობებებს შეხვდა. მსახიობების გარდა, დარბაზში მისმა მრავალრიცხოვანმა ქართველმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი და ერთგვარი მასტერკლასი კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა.

კინოთეატრ რუსთაველის მე-5 დარბაზში მისი ფილმის “აკვიატებული რიტმების” პრემიერა გაიმართა. ქართულმა საზოგადოებამ ფანი არდანის სარეჟისორო ნამუშევარი პირველმა შეაფასა. ფილმის მსოფლიო პრემიერა სწორედ თბილისში იყო.

ფანი არდანი დაიბადა 1949 წლის 22 მარტს საფრანგეთში, სამხედრო ატამეს ოჯახში. იზრდებოდა მონაკოში, 17 წლის ასაკში გადავიდა საფრანგეთში და ჩააბარა პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებით უნივერსიტეტში, თუმცა 20 წლის ასაკში მსახიობობა გადაწყვიტა. მისი სასცენო დებიუტი 1974 წელს შედგა.

როგორც მსახიობი, ფანი არდანი ცნობილია ფილმებით: “The Woman Next Door”, “Elizabeth”, “Confidentially Yours”, “Ridicule”, “8 Women”, “Callas Forever” და სხვა.

ფანი არდანის ერთ-ერთი პარტნიორი იყო ცნობილი ფრანგი რეჟისორი - ფრანსუა ტრუფო,

რომლისთვისაც მსახიობი ბოლო მუზად იქცა. 3 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ 1984 წელს ტრუფო გარდაიცვალა.

ბოლო წლებია რაც ფანი არდანი რეჟისურით დაინტერესდა. (გადაღებული აქვს 2009 წელს Ashes and Blood, 2010 წელს Chimères Absentes - მოკლემეტრაჟიანი ფილმი).

ევრიმაჟის პრეზიდენტი - იოხან ფლოგი თბილისში

8 ნოემბერს, თბილისს, ეროვნული კინოცენტრის მოწვევით, ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერისა და განვითარების ფონდის „ევრიმაჟის“ პრეზიდენტი - იოხან ფლოგი ეწვია. ფლოგი არის ევროპულ კინოპოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა, რომელიც ამ სფეროში მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისკუსიების მონაწილე და გადამწყვეტია. ოფიციალური ვიზიტის მიზანი იყო,



ქართული კინოსექტორის უფრო ახლოს გაცნობა და კინოში ევროპული თანამშრომლობის მნიშვნელობის ხაზგასმა.

საქართველო „ევრიმაჟის“ ყველაზე ახალგაზრდა - 36-ე წევრია, ფონდში ქვეყანა 2011 წელს, ეროვნული კინოცენტრის ევროსაბჭოსთან წელიწადნახევრიანი მოლაპარაკების შედეგად გაწევრიანდა. „ევრიმაჟში“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი თამარ ტატიშვილია.

ფონდში გაწევრიანების შემდეგ, ევრიმაჟის მმართველმა საბჭომ სამი ქართული ფილმის პროექტი დააფინანსა. ესენია:

თეონა გრენადეს და ტერი გრენადეს „ძმა“ (150 000 ევრო),

გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ (200 000 ევრო),

ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ (110 000 ევრო).

ასევე ევრიმაჟის დაფინანსება აქვს მოპოვებული ფონდში გაწევრიანებამდე ქართულ-ესპანურ-რუსულ კოპროდუქციას „ჩაიკა“ (210 000 ევრო).

ევრიმაჟის დაფინანსება 133-ე სესიაზე ქალაქ ვენაში (16-19 დეკემბერი, 2013) მოიპოვა ასევე შემდეგმა კოპროდუქციებმა:

„გველის ნაკბენი“ (საქართველო-რუსეთი-საფრანგეთი-ესპანეთი - რეჟისორები: ელდარ შენგელაია, თემურ ბუტიკაშვილი, ფაიდ იბრაგიმბეკოვი, 190 000 ევრო)

„პრეზიდენტი“ (საქართველო-საფრანგეთი-გერმანია-დიდი ბრიტანეთი, რეჟისორი: მოჰსენ მახმალბაფი, 210 000 ევრო)

საქართველოში ფლოგი ნანა ჯანელიძესთან ერთად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს - გურამ ოდიშარიას შეხვდა.

შემდეგ მან ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ქართული კინო სექტორის წარმომადგენლებისთვის ევრიმაჟის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია გამართა.

სტუმრისთვის რუსთაველის კინოში მოეწყო „მანდარინების“ სპეციალური ჩვენება.

იოხსტ ფლოგი - დაიბადა 1941 წელს. ევრიმაჟის ფონდს 2009 წლიდან ხელმძღვანელობს, ის ამ პოსტზე მესამედ იქნა არჩეული 2 წლიანი ვადით და თანამდებობაზე 2015 წლის 19 ნოემბრამდე დარჩება. 1977 წლამდე ფლოგი ჰანოვერში იურისტად მუშაობდა, შემდეგ დაინიშნა მრჩეველის NDR-ში (Norddeutscher Rundfunk) თანამდებობაზე, რომელსაც 1991 წლიდან დირექტორის რანგში ხელმძღვანელობდა. 1993-94, ასევე 2003-2004 წლებში, ფლოგი ARD-ის (გერმანიის რეგიონული საზოგადოებრივი მაუწყებლების კონსორციუმი) პრეზიდენტი გახდა. სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობასთან ერთად, ის 1993-98 წლებში არტეს - ARTE G.E.I.E. გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად აირჩიეს, რის შემდეგაც ის ფრანკო-გერმანულ ტელეარხს - არტეს ხელმძღვანელობდა. 1998 წელს არტე სწარმატებებისთვის ის ფრანგული საპატიოლეგიონის „შევალის“ წოდებაზე იყო ნომინირებული. შემდეგ ამას მოყვა გერმანული სახელმწიფოს ჯილდო „Bundesverdienstkreuz 1. Klasse“ და „Commandeur des Arts et des Lettres“ - საფრანგეთის ამორდერის უმაღლესი ხარისხი და სხვა არაერთი ჯილდო.

ფლოგი ჰამბურგის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია. ასწავლის აუდიოვიზუალის სამართალს რომტოკის უნივერსიტეტში.

ბერლინალეს სელექციონერი - ნიკოლაი ნიკიტინი თბილისში

ბერლინალეს კინოფესტივალის დელეგატმა და სელექციონერმა, ასევე SOFA-ს (School of Film Agents — კინოაგენტთა სკოლა) დირექტორმა, კინოპროექტების საფესტივალო სტრატეგიასა და წარდგენასთან დაკავშირებით საჯარო ლექცია და ორდლიან ინტენსიური უორქშოფი ჩაატარა.

საჯარო ლექცია: „ჩემი ფილმისთვის ფესტივალი მუდამ მოიძებნება“

ნიკოლაი ნიკიტინმა საჯარო ლექციისას განიხილა, თუ რას მოელიან კინოფესტივალები და როგორ ხორციელდება მიმოხილვა და საფესტივალო პროგრამის შედგენა.

ლექციაზე ასევე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კინოფესტივალების მიმოხილვა, მათი მახასიათებლებისა და მიზნების ჩათვლით. ნიკიტინმა ასევე ისაუბრა ევროპული კინოფინანსირების სისტემაზე.

ნიკოლაი ნიკიტინის უორქშოფი განკუთვნილი იყო ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისთვის და სტუდენტებისთვის, რომლებმაც უკვე დაასრულეს ან ამჟამად მუშაობენ მოკლემანტრაჟიან ფილმზე ან სცენარზე.

ძირითადი თემები იყო: მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარდგენა, ფესტივალის ბაზარზე პოზიციონირებისთვის საუკეთესო გზის დაგეგმვა, საკუთარი ხედვის გაზიარება და სიუჟეტის დახვეწა.

არჩეულ მონაწილეებს საშუალება ექნებათ კოლაბორაციულ გარემოში გაუზიარონ ექსპერტს საკუთარი შემოქმედებითი ხედვა.

ვორქშოფის პარტნიორი: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.

ნიკოლაი ნიკიტინი - 2002 წელს დაინიშნა ბერლინის კინოფესტივალის დელეგატად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის (www.berlinale.de). იგი არის FIPRESCI-ისა და European Film Academy-ის წევრი, Filmplus-ის ფესტივალის სამხტერო დირექტორი.

ნიკოლაი ნიკიტინი ასწავლის კინოისტორიას გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კინოჟურნალს „Schnitt“, არის ევროპის ცნობილი პროდიუსერთა ქსელის EAVE-ს საფესტივალო სტრატეგიების ექსპერტი და ხშირად სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი. იგი არის შესარჩევი კომისიის წევრი ფესტივალში GoEast (Wiesbaden) და ასევე ადგენს სერბეთის European Film Festival Palic-ისა და ბელგიის Oostende-ს ფესტივალების პროგრამას.



სლოვაკური კინოს დღეები თბილისში

14 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით, კინოთეატრ “ამირანის” მცირე დარბაზმა უმასპინძლა სლოვაკური კინოს დღეებს თბილისში - Made in Slovakia. კინოს დღეების ორგანიზატორი - საქართველოს ეროვნული კინოცენტრი და სლოვაკეთის კინოინსტიტუტი.

თბილისში გამართული კინოს დღეების მიზანი იყო, სლოვაკური ფილმის პოპულარიზაცია საქართველოში და ეროვნული კინოცენტრისა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგია. ასეთივე კულტურული მოვლენა - ქართული კინოს დღეები 2012 წელს ბრატისლავაში გაიმართა.

სლოვაკეთსა და საქართველოს შორის მრავალწლიანი დიპლომატიური ურთიერთობები არსებობს. კულტურული თანამშრომლობის მთავარი სიმბოლოა 1977 წელს გადაღებული ფილმი “რაჭა ჩემო სიყვარულო”, (ჩეხოსლოვაკეთი, საბჭოთა კავშირი) რომელიც პირველ ქართულ-სლოვაკურ კოპროდუქციად შეიძლება ჩაითვალოს.

კინოჩვენებები როგორც საქართველოში, ისე სლოვაკეთში, ხელს უწყობს საქართველოსა და სლოვაკეთის კინოინდუსტრიების დაახლოებას.

14-17 ნოემბერს - ოთხი დღის განმავლობაში, თბილისში, ქართულმა აუდიტორიამ შეაფასა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე სლოვაკური კინემატოგრაფი. კინოსეანების დაწყებამდე, ფილმები თავად სლოვაკელმა რეჟისორებმა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის წარმომადგენლებმა წარადგენეს.

FILM PRINT

4 ნოემბერს მწერალთა სახლში ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა

ჟურნალ Film Print - ის მეცხრე ნომრის პრეზენტაცია. შემოდგომის ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები - ნინო მხეიძე, ნენო ქავთარაძე და ანუკა ლომიძე.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი.

ახალ ნომერში აქცენტი ტრადიციულად გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფზე.

იხილეთ ვრცელი რეპორტაჟი: მრგვალი მაგიდა - კინომცოდნეობის პრობლემატიკა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა კინომცოდნეებმა. ასევე მრგვალი მაგიდა - პროფესია მსახიობი, რომელშიც დისკუსიის მონაწილეები იყვნენ: გიორგი ნაკაშიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, ლევან კიტია, ზაზა რუსაძე, გიორგი მასხარაშვილი, ჟურნალის რედაქტორები და სხვა.

ჟურნალში ასევე გაეცნობით ინტერვიუებს კინოკრიტიკოსებთან - გოგი გვახარასთან და თეო ხატიაშვილთან. ნომერში ფართოდ არის მიმოხილული ბათუმის არტჰაუს კინოს მე-8 საერთაშორისო

ფესტივალი და სხვა საინტერესო კინომოვლენები. ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

30 დეკემბერს კი გაიმართა ზამთრის ნომრის და ასევე ახალი ვებგვერდის

www.filmprint.ge-ს პრეზენტაცია.

2013/2014 წლის ზამთრის ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები - დინარა მაღლაკელიძე და ქეთევან ჯაფარიძე.

ჟურნალში მიმოხილულია ბოლო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო კინოფესტივალები.

ასევე წაიკითხავთ საინტერესო ანალიტიკურ წერილებს: კინომეცნიერებაზე, კინოთეატრ აპოლოს ბედსა და პოლიტიკურ კინოზე.

გაეცნობით რეცენზიებს ზაზა ურუშაძისა და ლევან კულუაშვილის ახალ ფილმებზე.

იხილავთ ვრცელ ინტერვიუებს: რეჟისორებთან: გიორგი ოვაშვილთან, ზურაბ ინაშვილთან, მსახიობ ფანი არდანთან, Eurimages-ის პრეზიდენტთან იობსტ ფლოგთან და სხვა.

ჟურნალის ვებგვერდი - გარდა ყოველი ნომრის ელექტრონული ვერსიისა, დაინტერესებულ ადამიანებს შესთავაზებს ბლოგებს კინოს შესახებ, ასევე კინომცოდნეებს მისცემს საშუალებას მეტად ჩაერთონ თანამედროვე ქართულ კინოპროცესებში.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge